პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 მარტი შაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 66 (14976)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების რწმუნებათა ვადის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ გავიდა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რწმუნებათა ვადა და საქართველო სსრ მეთორმეტე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების რწმუნებათა ვადა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1971 წლის 13 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. კოწოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1971 წლის 18 მარტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ

იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების როლი სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა განხორციელებაში, გაძლიერდეს მათი ინიციატივა და პასუხისმგებლობა საგეგმო, საფინანსო და მიწის საკითხთა გადაწყვეტისათვის, სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობისა და მშენებლობის განვითარებისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუჯობესებისათვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, აგრეთვე ამ საბჭოების საქმიანობის დემოკრატიული პრინციპების შემდგომი განვითარების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მუხლი 1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო რაიონში კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში წყვეტს რაიონული მნიშვნელობის ყველა საკითხს, ამასთან ხელმძღვანელობს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებითა და რაიონის მშრომელთა ინტერესებით.

მუხლი 2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობას რაიონის ტერიტორიაზე, საბჭოსადმი დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას.

რაიონულ დაქვემდებარებაშია საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც უპირატესად ემსახურებიან რაიონის მოსახლეობას. ზემოაღნიშნულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა რაიონულ დაქვემდებარებაში გადაცემის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

რაიონული დაქვემდებარების საწარმოები, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ხელმძღვანელობს თავისი განყოფილებებისა და სამმართველოების მეშვეობით ან უშუალოდ. რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები, აგრეთვე ის საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებსაც აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ხელმძღვანელობს, თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც რაიონულ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ დარგობრივ ორგანოს.

მუხლი 3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო ათანხმებს და კონტროლს უწევს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას საბინაო, კომუნალური მშენებლობის, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების დარგში, კვლიდმოწყობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების. სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და რაიონის მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების დარგში. საბჭოსათვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში კონტროლს უწევს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული გაერთიანებების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ზემდგომი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციების მუშაობას და მათ მიერ კანონმდებლობის დაცვას.

ამ მუხლში აღნიშნულ საკითხებზე რაიონული საბჭო ისმენს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, მათ გამო იღებს ვადაწყვეტილებებს, საჭირო შემთხვევებში თავისი წინადადებანი შეაქვს შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მუხლი 4. იმ მიზნით, რომ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები, აგრეთვე ორგანიზაციები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ რაიონის მეურნეობის განვითარებაში, რომ გაძლიერდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების დაინტერესება საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის შედეგებით, რაიონების ბიუჯეტებს გადაეცემა შესაბამისი რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური და საოლქო (სამხარეო) დაქვემდებარების საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მოგების ნაწილი (რაიონების ტერიტორიაზე განლაგებული ქალაქების საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების ანარიცხების გარდა).

ამ მუხლში აღნიშნული ანარიცხების სახეობებსა და ოდენობას, რაიონების ბიუჯეტებში მათი შემოსულობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, რომლებიც მათ მიიღეს მინიჭებული უფლებების ფარგლებში, სავალდებულოა შესასრულონ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულმა ყველა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, საწარმომ, დაწესებულებამ და სხვა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა და მოქალაქეებმა.

რაიონულ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს იმ შემთხვევაში, თუ მათს გადაწყვეტილებებს არ შეასრულებენ ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, შეაქვთ შეწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, შეაქვთ შესაბამის ზემდგომ ორგანოებში წარდგინებანი, რომ ამ ხელმძღვანელებმა დაას

პრაქანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ

(დასასრული)

ცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებას; ახორციელებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, შიდასამეურნეო ანგარიშსწორების დანერგვის, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მატერიალური დაინტერესების პრინციპების დაცვის ღონისძიებებს; კონტროლს უწევს იმას, სწორად იყენებენ და სწორად ინახავენ თუ არა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მინერალურ სასუქებსა და შხამქიმიკატებს; ხელმძღვანელობს რაიონში ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელებას;

12) რეგისტრაციაში ატარებს კოლმეურნეობათა წესდებებს, აგრეთვე წესდებათა ცვლილებებსა და დამატებებს; კონტროლს უწევს კოლმეურნეობათა წესდებების, კოლმეურნეობების საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლების დაცვას, კოლმეურნეთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორ შეხამებას; განიხილავს და წყვეტს კოლმეურნეთა საჩივრებს კოლმეურნეობიდან გარიცხვის შესახებ;

13) რეგისტრაციაში ატარებს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა დებულებებს (წესებებს), აგრეთვე დებულებათა (წესდებათა) ცვლილებებსა და დამატებებს; ახორციელებს კონტროლს საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი;

14) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს რაიონში მთელი მიწების გამოყენებისადმი; აძლევს და ჩამოართმევს მიწის ნაკვეთებს და წყვეტს საადგილმამულო დავას სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით; აძლევს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მიწათ მოსარგებლეებს მიწით სარგებლობის უფლების სახელმწიფო აქტებს; კონტროლს უწევს მიწით მოსარგებლეების მიერ მიწების ნაყოფიერების გადიდებას, მათი მორწყვისა და ამოშრობის, ნიადაგთა ეროზიასთან ბრძოლის მინდორსაცავი ტყის ნარგავების შექმნის ღონისძიებათა განხორციელებას, წარმართავს მიწათმოწყობის სამუშაოთა განხორციელებას; აძლევს საერთოდ გავრცელებულ სასარგებლო წიაღისეულთა დამუშავების ნებართვას;

15) კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით განაგებს წყლის ობიექტებს რაიონის ტერიტორიაზე, ახორციელებს წყლების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლს; კონტროლს უწევს ტყეების გაშენების, დაცვისა და სწორად გამოყენების, ტყის მეღიორაციისა და ტყის მოწყობის ღონისძიებათა განხორციელებას, ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესრულებას;

16) ხელმძღვანელობს რაიონული დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებს, ამტკიცებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, მოღებული მოგების განაწილებას; კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას;

27) ხელმძღვანელობს სასაღსო განათლების, ბავშვთა და სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის საქმეს; უზრუნველყოფს საყოველთაო სავალდებულო სწავლებას, კონტროლს უწევს იმ საბავშვო სახლების, ბავშვთა სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობას, რომლებიც რაიონულ ბიუჯეტზე არ არიან; წყვეტს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით ისეთ საკითხებს, როგორიც არის მოქალაქეთათვის შედავათების მიცემა სკოლაინტერნატებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებში ბავშვთა შეხვედრისათვის, აგრეთვე გახანგრძლივებულ სკოლებში (ჯგუფებში) ბავშვთა კვების საფასურის გადახდისათვის; ანაწილებს დადგენილი წესით საყოველთაო სწავლების ფონდს; წყვეტს შეიარაღ აყვანის საკითხებს; ხელმძღვანელობს არასრულწლოვანებისადმი მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეს;

28) ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, რაიონული დაქვემდებარების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, კონტროლს უწევს კულტურის სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობას მათი დაქვემდებარების მიუხედავად; კონტროლს უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების კულტფონდების სახსრების გამოყენებას და საჭირო შემთხვევებში მათთან შეთანხმებით ახორციელებს ღონისძიებებს აღნიშნული სახსრების ცენტრალიზებული გამოყენებისათვის; ხელმძღვანელობს მოსახლეობის კინომომსახურებას;

29) ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს რაიონში, რაიონული დაქვემდებარების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს; ახორციელებს კონტროლს ზემდგომი დაქვემდებარების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მუშაობისადმი; უზრუნველყოფს დედათა და ბავშვთა დაცვას; ახორციელებს დასახელებული პუნქტების საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების შენახვის სანიტარული წესებისა და ჯეროვანი სანიტარული მდგომარეობის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს; უზრუნველყოფს ინფიქციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების, აგრეთვე მათი ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებას.

30) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ატმოსფეროს ჰაერის, წყლების, ნიადაგისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის წესების შესრულებისადმი;

31) ხელმძღვანელობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეს; ამტკიცებს რაიონის ტერიტორიაზე სპორტულ შენობათა და ნაგებობათა განლაგების გეგმებს მათი დაქვემდებარების მიუხედავად; ახორციელებს მასობრივი დასვენების ზონების განვითარების, მათი აღჭურვისა და კეთილმოწყობის ღონისძიებებს, კონტროლს უწევს ამ ზონების გამოყენებას.

32) აწარმოებს აღრიცხვას და აწესრიგებს შრომითი რესურსების განაწილებას რაიონის ტერიტორიაზე, ახორციელებს მათი რაციონალური გამოყენების ღონისძიებებს; ამტკიცებს ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის გეგმებს, რომელიც ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებს ამთავრებენ და უწყრუნველყოფს, რომ ეს გეგმები შეასრულოს ყველა საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ; ახორციელებს კონტროლს შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი; შრომის დაცვისა და უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვისადმი საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; აღგენს რაიონის მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის დღეებსა და საათებს;

33) ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის საქმეს; უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი პენსიებისა და დახმარებების დროულ და სწორ დანიშნასა და გადახდას; ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობათა სახსრების ანარიცხების დროულად შეტანისადმი კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდსა და კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში, ქმნის კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ საბჭოს და კონტროლს უწევს მის საქმიანობას; ხელმძღვანელობს სრულწლოვანი პირებისადმი მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეს, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი; ახორციელებს კონტროლს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ორგანოების მუშაობისადმი;

34) ქმნის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას; უზრუნველყოფს სსრ კავშირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კანონებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვა-გაგებლობის ორგანოების სხვა აქტების დაცვას, სახელმწიფო საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დაცვას; აწყობს მოსახლეობაში კანონმდებლობის განმტკიცებას;

35) საჭირო შემთხვევებში აუქმებს საბჭოსადმი დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, აგრეთვე რაიონული დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და განკარგულებებს; აუქმებს კოლმეურნეთა საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების), სამომხმარებლო საზოგადოებების მეპაიეთა საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების), რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა, რაიკოომკავშირისა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციათა გამგეობების, საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საბჭოების იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან; აჩერებს ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა იმ ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც ეხება მიწათსარგებლობის, დასახლებული პუნქტების განაშენიანების, კეთილმოწყობის, სანიაღვრე, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს, რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან, და ამას აცნობებს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

36) უზრუნველყოფს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულ და სწორ განხილვასა და გადაწყვეტას; ამოწმებს, თუ როგორ განიხილავენ მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში, ამ საკითხებზე ისმენს ხელმძღვანელთა ახსნა-განმარტებებს;

37) იღებს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით გადაწყვეტილებებს, რომლებიც ითვალისწინებენ მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობას დადგენილ ფარგლებში;

38) უზრუნველყოფს საპასპორტო სისტემის წესების დაცვას;

39) საჭირო შემთხვევებში მონაწილეობას აღებინებს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე მოსახლეობას სტიქიური უბედურების წინააღმდეგ და მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში;

40) უზრუნველყოფს, რომ სსრ კავშირის კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ შეასრულოს ყველა თანამდებობის პირმა და მოქალაქემ, აგრეთვე საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა; ხელმძღვანელობს სამოქალაქო თავდაცვას რაიონის ტერიტორიაზე;

41) განიხილავს და აღძრავს შუამდგომლობას სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების, „მგირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ, აგრეთვე მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ.

მუხლი 9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიაზე შეიძლება განხილულ იქნეს და გადაწყდეს ყველა საკითხი, რომლებიც რაიონული საბჭოს გამგეობლობას განეკუთვნება, ამასთან მხოლოდ სესიებზე შეიძლება განხილულ იქნას და გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

დეპუტატთა რწმუნებულების ცნობა; დეპუტატთა რწმუნებულებებზე ხელის აღება დეპუტატთა პირადი განცხადებების შესაბამისად; აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა და მისი შემადგენლობის შეცვლა; მუდმივი კომისიების შექმნა, არჩევა და მათი შემადგენლობის შეცვლა; ანგარიშები აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ;

აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნა, მათი ხელმძღვანელების თანამდებობაზე დამტკიცება და განთავისუფლება; სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შექმნა, მისი შემადგენლობის დამტკიცება, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშნა და განთავისუფლება; აღმასრულებელ კომიტეტთან ადმინისტრაციული და სამთვალყურეო კომისიების, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შექმნა; რაიონული სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დამტკიცება;

რაიონის მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრები პერსპექტიული და წლიური გეგმების დამტკიცება; კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფო შესყიდვის საგეგმო დავალებათა დამტკიცება;

ამორჩეველთა განაწესის შესრულების ღონისძიებათა გეგმების დამტკიცება;

გადაწყვეტილებათა მიღება დეპუტატთა შეკითხვების გამო;

რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება; აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა დამტკიცება რაიონული ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავლის, აგრეთვე გასავლზე შემოსავლის ჭადამტკიცების იმ თანხების გამოყენების შესახებ, რაც იქმნება წლის დავლევს შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ნაწილში მოჭირნეობის შედეგად;

რაიონული დაგეგმვის სქემის განხილვა და მისი წარდგენა დასამტკიცებლად სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სხვა საკითხებიც, რომელთაც განხილავენ და წყვეტენ მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების სესიებზე.

მუხლი 10. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს და წყვეტს საკითხებს, რომლებიც საბჭოს გამგეობლობას განეკუთვნება, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნას და გადაწყდეს მხოლოდ საბჭოს სესიებზე.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი: იწვევს საბჭოს სესიებს და უზრუნველყოფს მათს მომზადებას; სესიებს შუა პერიოდში ახორციელებს საბჭოს შუადგილი კომისიების მუშაობის კოორდინაციას;

საჭირო დახმარებას უწევს დეპუტატებს, რათა მათ შეასრულონ დეპუტატის მოვალეობანი;

წარადგენს საბჭოს დასამტკიცებლად რაიონის მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, რაიონის ბიუჯეტს და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

წარადგენს საბჭოს დასამტკიცებლად ამომრჩევლთა განაწესის შესრულების ღონისძიებათა გეგმებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას, აცნობებს დეპუტატებსა და მოსახლეობას, თუ როგორ სრულდება განაწესი.

ხელმძღვანელობს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს, რაიონული და ქალაქების, ასევე ინტერნატი ... [illegible]

[illegible]

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ 1971 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულია შემდეგი ნაშრომები:

1. **ვ. დ. კუპრაძე** (ხელმძღვანელი), **თ. გ. გეგელია, მ. ო. ბაშელეიშვილი, თ. ვ. ბურჭულაძე.** „მათემატიკური დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“ (მონოგრაფია) ,1968 წ. წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

2. **ვ. ი. მამასახლისოვი** (ხელმძღვანელი), **ი. შ. ვაშაკიძე, რ. ი. ჯიბუტი, გ. ა. ჭილაშვილი.** „შრომების ციკლი მსუბუქი ბირთვების კლასტერული მოდელის შექმნისა და განვითარების დარგში“, 1953-1969 წწ.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტმა.

3. **ვ. ნ. მერკვილაძე.** „საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნა და განმტკიცება საქართველოში“ (მონოგრაფია), 1969 წ.

წარმოადგინა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა.

4. **ა. ს. ჩიქობავა** (ხელმძღვანელი), **გ. ვ. წერეთელი, ვ. ტ. ოფფერია, მ. ნ. ჭაბაშვილი, ხ. მ. ვაჩნაძე, ო. ი. კახაძე, თ. ს. შარაძენიძე, მ. კ. მესხიშვილი, ქ. ბ. ლომთათიძე, ს. ბ. მენთეშაშვილი, ბ. ლ. გაჩეჩილაძე, ი. მ. გიგინეიშვილი, ბ. რ. ფოჩხუა*).** „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (I-VIII ტომები), 1950-1964 წწ.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა.

5. **ლ. ვ. გოშხოთელიანი, ი. ი. ზურაბიშვილი, შ. ს. შეფლაშვილი, მ. ტ. აფაქიძე, გ. ნ. წიწილაშვილი, ვ. ა. კალანდაძე.** „ჭიათურის მანგანუმის საბადოს ახალი ველების დამუშავების რაციონალური მეთოდების კვლევა და დანერგვა“, 1951-1969 წწ.

წარმოადგინა შავი მეტალურგიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურმა გამგეობამ.

6. **ზ. ე. ყურაშვილი, ო. ნ. სულაძე, რ. ი. ნიგუა, დ. გ. ტაბიძე, ა. პ. უნგიაძე, ვ. ბ. ფაინი, პ. ა. წერეთელი.** „საგლინი და მილსაგლინი დგანების სახურველი აგრეგატების თბური რეჟიმის ავტომატური მართვის საშუალებათა და სისტემათა კომპლექსის შექმნა და ათვისება“, 1968 წ.

წარმოადგინა რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ.

7. **ვ. ვ. მახალდიანი.** ნაშრომთა ციკლი: 1. „სატრაქტორო და საავტომობილო ძრავები“ , 1964 წ., 2. „საავტოტრაქტორო ძრავების თეორია და გაანგარიშება“, 1968 წ. (სახელმძღვანელოები); 1. „გამოკვლევები საავტომობილო და სატრაქტორო ძრავების დარგში“ 1961 წ., 2. „სამთო ავტომობილების და ტრაქტორების ძრავების შესახებ“, 1968 წ. (მონოგრაფიები).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანების მექანიკის ინსტიტუტმა.

8. **თ. ნ. ლოლაძე** (ხელმძღვანელი), **ა. ი. ბეთანელი, გ. ვ. ბოკუჩავა.** „გამოკვლევათა ციკლი მჭრელი იარაღების სიმტკიცისა და ცვეთის დარგში“, 1958-1969 წწ.

წარმოადგინა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა.

9. **ი. რ. ხვედელიანი, ს. ვ. რუმიანცევი, ა. ვ. ჯაბადარი, ვ. ა. დობრომისლოვი, გ. ნ. პივოვაროვი, დ. ა. კიკნაძე, ო. ს. თადუმაძე.** „დეტალებისა და კვანძების ხარისხის დაურღვეველი რადიაციულ-დეფექტოსკოპიური კონტროლის მეთოდებისა და საშუალებების გამოკვლევა, დამუშავება და დანერგვა“, 1958-1969 წ.წ.

წარმოადგინა თბილისის წითელი ვარსკვლავის ორდენოსანმა დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანამ.

10. **გ. ს. ჭობულია** (ხელმძღვანელი), **ი. დ. სულაძე, ზ. დ. ლამბაშიძე, ნ. თ. დანელია, შ. ვ. გიორგაძე, გ. ი. ჩიჭავაძე, ე. ა. აგაბაბოვი.** „სარწყავი სისტემების მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში“, 1959-1970 წ.

წარმოადგინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთამეურნეობის სამინისტრომ.

11. **თ. ლ. შაშიაშვილი.** „ვაზის ნამყენი ნერგის წარმოება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში“, 1957-1969 წწ.

წარმოადგინა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ.

12. **ა. ნ. ჯავახიშვილი, თ. ფ. დავითაია, ა. თ. ასლანიკაშვილი, ვ. ვ. გველესიანი, ვ. მ. ჯაოშვილი, დ. ბ. ფალავა, ა. ე. სამადბეგოვი, ატლასი** „საქართველოს სსრ“, 1964 წ.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა.

13. **ბ. ე. ყურაშვილი.** „საქართველოს სანადირო-სარეწაო ფრინველთა ჰელმინთები“, 1957 წ., „ცხოველებისა და ადამიანის ტრემატოდები საქართველოში“, 1961 წ., „ცხოველებისა და ადამიანის ექინოკოკოზი და ალეოკოკოზი საქართველოში და მასთან ბრძოლა“, 1964 წ., „ცხოველთა აკანთოცეფალები საქართველოში“, 1967 წ. (მონოგრაფიები).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტმა.

14. **ნ. ვ. ანთელავა, ვ. ე. ფიფია.** „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გულის ქრონგრის შემუშავება, დანერგვა და განვითარება“. **ვ. ე. ფიფია.** „ფილტვის ორტერიის თანდაყოლილი ოზოლირებული სტენოზი და მისი ქირურგიული მკურნალობა“, 1967 წ. (მონოგრაფია).

წარმოადგინეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტმა, ი. პ. წულუკიძის სახ. ნეფროლოგიისა და უროლოგიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს ნეფროლოგიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტმა, თბილისის I საავადმყოფომ.

ავტორთა კოლექტივები ქვეყნდება წარდგენების შესაბამისად უცვლელად. აქვეყნებს რა 1971 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულ ნაშრომთა სიას, კომიტეტი მიმართავს საბჭოთა საზოგადოებრიობას და სთხოვს აუწყოს თავისი აზრი როგორც ამ ნაშრომთა შინაარსზე, ისე წარმოდგენილ ავტორთა კოლექტივების შემადგენლობაზე.

კომიტეტი სთხოვს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა, სამეცნიერო დაწესებულებათა, საწარმოთა და უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელებს მოაწყონ აღნიშნულ ნაშრომთა და ავტორთა კოლექტივების შემადგენლობების საზოგადოებრივი განხილვა. კომიტეტი გთხოვთ გამოგზავნოთ გამოხმაურებანი და შენიშვნები, აგრეთვე საზოგადოებრივი განხილვის მასალები ამა წლის 9 აპრილამდე მისამართით: ქ. თბილისი, მთავრობის სახლი, VI. სართული, ოთახი № 26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს მიენიერებისა და ტექნიკის დარგში, ტელ. 99-74-05.

*) საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად ავტორთა კოლექტივის შემადგენლობაში გამონაკლისის სახით დაშვებულია 13 კაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი

მიფრინავს „პოსმოსი-400“

საკავშირო ინფორმაცია

1971 წლის 19 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-400“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკავშირო საბჭოს 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზეა: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამმთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

გმირის სახელი უკვდავია

(დასასრული).

დაჯილდოება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ იტალიელი ხალხი წმიდად ინახავს სახალხო შურისმაძიებელთა რიგებში მებრძოლი საბჭოთა პატრიოტების ხსოვნას.

ჯილდოს გადაცემის შემდეგ საქმესის სპეციალური კორესპონდენტი ესაუბრა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ჯგუფს და სთხოვა დაეხასიათებინათ ფორე მოსულოშვილის საბრძოლო გმირობა.

საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა და კავშირგამბულობის ჯარების მარშალმა ა. ი. ეროხინმა სიამაყის გრძნობით ილაპარაკეს ქართველი ერის სახელოვანი შვილის საბრძოლო საქმიანობაზე.

სამგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკმა ი. ნ. კოჟედუბმა თქვა:

აღფოთოვანებას იწვევს საბჭოთა ადამიანების საგმირო საქმენი საფრანგეთისა და იტალიის წინააღმდეგობის რიგებში. სამშობლოს მოშორებულნი თავს გრძნობდნენ მის ნაწილად საბჭოთა ჯარისკაცებად, რომლებისთვისაც თავისუფლების იდეალები ყველაფერზე მაღლა დგას. მათ შორის იყო ფორე მოსულოშვილი. ჩვენ ვიცნობდით თვევდორე პოლტაევს — იტალიის სახალხო გმირს. ახლა ჩვენ ვიცნობთ ფორეს. ორივემ, ისევე როგორც მათმა იტალიელმა ამხანაგებმა, უკვდავი გმირობის სახელი მოიხვეჭა.

ფორე მოსულოშვილით ამაყობენ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხები. ყველა საბჭოთა ადამიანი ჯეროვან პატივს სცემს ჩვენი სამშობლოს მამაც შვილს. იტალიური ოქროს მედალი — „მხედრული მამაცობისათვის“, რომლითაც სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა გმირი, სიმბოლურად გამოხატავს ინტერნაციონალისტ მეომართა, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა მეგობრობას.

თვევდორე პოლტაევის თანამემამულემ, რიაზანის ოლქის მკვიდრმა, გენერალ-ლეიტენანტმა ლ. ს. ჩუვანინმა აღნიშნა, რომ ქართველ ხალხს ბევრი შესანიშნავი მებრძოლი მოუცია, რომლებმაც სახელი გაითქვეს დიდი სამამულო ომის ყველაზე ცხარე ბრძოლებში. მან მოიხსენია გენერლები კ. ნ. ლესელიძე, პ. ბ. ჩანჩიბაძე, ვ. პ. მეკავანაძე, ე. გ. კობერიძე, ვ. ნ. ჯანჯღავა, საბჭოთა კავშირის გმირი, კოკუბაკელი პარტიზანი დ. ი. ბეჭრაძე...

— ჩვენ ქედს ვიხრით ფორე მოსულოშვილის ხსოვნის წინაშე, განაცხადა გენერალმა ლ. ს. ჩუვანინმა. — იგი ნამდვილი გმირი იყო. რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავუწოოთ პოპულარიზაცია მის საბრძოლო საქმეებს. დაე ჩვენმა ახალგაზრდობამ იცოდეს, რა ფასად გვიჯდებოდა ძლიერ და ვერაგ მტერზე გამარჯვება. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ახალგაზრდები ქალაშვილები და ჭაბუკები ენთუზიაზმით შეხვდებიან ცნობას, რომ ფორე მოსულოშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა იტალიის ყველაზე საპატიო მხედრული ნიშნით — ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

— ყოველთვის, როცა შეიტყობ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლების დღეებში ჯარისკაცის მამაცობის ახალ მაგალითს, უსაზღვრო სიამაყის გრძნობა გიპყრობს, — თქვა საბჭოთა კავშირის გმირმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა პოლკოვნიკმა მურინავმა ა. ვ. ფილიპჩენკომ. — ასეთი მამაცობის, ვაჟკაცობის, სიმტკიცისა და გმირობის მაგალითია ფორე მოსულოშვილის საბრძოლო ცხოვრება.

ჩვენთვის, მაღალი პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი ახალგაზრდებისათვის, ფორე მოსულოშვილის სახელი ისეთივე დროშად გადაიქცა, როგორც ახალგაზრდაგვარდიელი კომკავშირელების — ზოია კოსმოდემიანსკაიასა და მისი ძმის ალექსანდრეს, ალექსი მარესიევის, ლიზა ჩაიკინას, ვიქტორ ტალალიხინის, ნიკოლოზ გასტელოს, იური გაგარინის სახელები...

ამა წარმოიდგინეთ, რამდენი რამ გადაიტანა ადამიანმა, მაგრამ რა მამაცურად ეჭირა თავი, რამდენ დიდი იყო მისი სიძულვილი დამპყრობლებისადმი! ფორე მოსულოშვილი ალფოთოვანე ბ დ ა თანამებრძოლ პარტიზანებს მომავალი გამარჯვების რწმენით აღანთებდა მათ.

გმირი ვერ მოესწრო ბედნიერ წუთს, როცა ფაშისტური გერმანია საბოლოოდ გავანადგურეთ, მაგრამ მისი სავმირო საქმენი დაუვიწყარია, როგორც სამშობლოში, ისე იტალიაში.

იტალიის საელჩოში შეკრებილთა შორის იყო იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი მონაწილე, ამჟამად მოსკოვის ქალაქების საპროექტო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერი ვ. ი. პერელადოვი. ამ მაღალს წარმოადგენ ვაჟკაცს გულწრფელი რუსული სახე აქვს. მის მკერდს ამშვენებს ორი „ვარიბალდის ვარსკვლავი“ და იტალიის მთავრობის კიდევ თხუთმეტი ჯილდო.

— ჩვენს დამკვრელ პარტიზანულ ბატალიონში, რომელიც მოდენის პროვინციის პარტიზანულ შენაერთში შედიოდა, თქვა ვლადიმერ პერელადოვმა, იყო ქართული ოცეული, რომელიც მთლიანად საქართველოს მკვიდრთაგან შედგებოდა. ჯარი ვაჟკაცები იყვნენ! ისინი მონაწილეობდნენ ყველაზე პასუხსაგებ ოპერაციებში: ანადგურებდნ

ფორე მოსულიშვილი — იტალიის ეროვნული გმირი

სიკვდილი სახელოვანი...

ITალიის პრეზიდენტმა ჯუზეპე სარაგატმა 1970 წლის 28 თებერვალს ხელი მოაწერა დეკრეტს იტალიის ეროვნული წინააღმდეგობის მონაწილის, საბჭოთა მეომრის, ქვემომჩხაანელი ფორე ნიკოლოზის-ძე მოსულიშვილის დაღუპვიდან 25 წლის შემდეგ ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი — „ოქროს მედლით მხედრული მამაცობისა“ დაჯილდოების შესახებ.

ოქროს მედალი — იტალიის რესპუბლიკის უმაღლესი და ყველაზე საპატიო ჯილდო — მხოლოდ მამაცთა შორის უმამაცესის ხვედრია. საკმარისია ითქვას, რომ მისი მფლობელი იტალიის ეროვნულ გმირად ითვლება და რომ იტალიაში გენერალიც კი ვალდებულია პირველი მიესალმოს ჯარისკაცს, რომელიც ამ მედალს ატარებს.

საბჭოთა კავშირის გმირის, ლეგენდარული რუსი პარტიზანის თვედორე პოლეტაევის შემდეგ ჩვენი თანამემამულე მეორე საბჭოთა მოქალაქე და საერთოდ მეორე უცხოელია, რომელიც იტალიის ეროვნული გმირის ამ საპატიო წოდებას ეზიარა!

ფორე მოსულიშვილის შესახებ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე როგორც იტალიურ, ისე ქართულ და ცენტრალურ პრესაში საკმაოდ ბევრი დაიწერა, მაგრამ გმირის ცხოვრებისა და ბრძოლის ცალკეული დეტალები აქამდე მაინც ბურუსით იყო მოცული, გაუგებარი იყო, მაგალითად, რატომ გაიხსენეს მეომხედი საუკუნის შემდეგ ჩვენი თანამემამულე მისმა თანამებრძოლებმა — ყოფილმა იტალიელმა პარტიზანებმა, როგორი იყო იგი როგორც მებრძოლი და მოქალაქე, და, ბოლოს, ასეთი გმირობა დიდი ბუნების ადამიანის ნებისყოფის სიმტკიცით, მტრის უზომო სიძულვილითა და საშშობლოს სიყვარულით იყო გამოწვეული თუ შედეგი იყო აფექტისა, რომელიც, არც თუ იშვიათად გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს ეუფლება, ერთი სიტყვით, ჩვენს ხელთ არსებული მასალები საშუალებას არ იძლეოდა სრულყოფილად გაგვეხსნა გმირის სახე.

ბუნებრივია, ფორე მოსულიშვილი ყველაზე უკეთ იმ ადამიანებს შეეძლოთ დაესახიათებინათ, ვინც ახლო იცნობდა მას, ვინც მასთან მხარდამხარ იბრძოდა, ვინც შემდგომში იზრუნა მისი სახელის უკვდავსაყოფად. საჭირო იყო ცალკეულ ადამიანთა ხელში არსებული თუ არქივებში შემორჩენილი დოკუმენტების მოპოვება, იმ ადგილების უშუალო გაცნობა, სადაც ქართველმა გმირმა ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი, ვაჟკაცური ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი გაატარა.

და აი, ბუნებრივად დადგა საკითხი იმ ქვეყანაში გამგზავრებისა, რომლის ბედნიერებას და კეთილ მომავალს, საკუთარ საშშობლოს ათასობით კილომეტრით მოშორებულმა ქართველმა მებრძოლმა, ვაჟკაცურად შესწირა თავი. მაგრამ ვიდრე იტალიაში გავეემგზავრებოდით, საქართველოშიც საკმაოდ დიდი საშუშო გველოდა.

სულ პირველად ფორე მოსულიშვილის სახელი 1959 წლის ზაფხულში გავიგეთ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის არმანდო კოსუტას და იტალიის პარლამენტის დეპუტატის, პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელის, კომუნისტ მრალდო ბასტონეს ბარათები მოვიდა. იტალიელი ამხანაგები გვატყობინებდნენ:

ფაშისტ დამპყრობთაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოჩენილი განსაკუთრებული ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის რესპუბლიკის უმაღლეს ჯილდოზე — „ოქროს მედალზე მხედრული მამაცობისათვის“ წარდგენილია თქვენი მიწის საამაყო შვილი, ქართველი პარტიზანი „პორე მუზოლიშვილი“.

ამავე ბარათიდან ირკვეოდა, რომ 1944 წლის 3 დეკემბერს პარტიზანთა ერთ-ერთი რაზმი, ბილჯირანტესთან ახლოს, რიცხობრივად ბევრად უფრო ჭარბ მტრის მიერ ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. გერმანელები სახლს, რომელშიც პარტიზანები იმყოფებოდნენ, განუწყვეტლივ უშენდნენ ცეცხლს და თან რაზმის მეთაურის გაცემას მოითხოვდნენ. მხოლოდ ასეთი პირობით აღუთქვამდნენ დანარჩენებს სიცოცხლის შენარჩუნებას.

პარტიზანებს ტყვია-წამალი შემოელიათ და აი, როდესაც მეთაურისა და რამდენიმე მებრძოლი ამხანაგის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მძიმედ დაჭრილმა ქართველმა, რაზმის უფროსის თანაშემწე „ფორემ“ უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და გერმანელებისაკენ გაემართა. როგორც კი შენობის ზღურბლს გადააბიჯა, უშიშრად განაცხადა: „რაზმის მეთაური მე ვარ, მაგრამ თქვენთან ტყვეობას სიკვდილი მირჩევნია“. ამ სიტყვებთან ერთად რევოლვერი იძრო, უკანასკნელი შესაძახა — „გაუმარჯოს პარტიზანებსო და ბოლო ტყვია საფეთქელში დაიხალა.

ეს იყო გმირობა, მეთაურის, ამხანაგების სიცოცხლისათვის შეწირულად თავის განწირვა.

წერილების ავტორები ითხოვდნენ გმირის ვინაობის დადგენას, მისი შშობლებისა და ნათესავების მიკვლევას.

ამ საპატიო მისიის შესრულება წილად გვხვდა ჩვენ — ამ სტრიქონების ავტორებს.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო გმირის გვარისა და სახელის დაზუსტება. ნათელი იყო, რომ ქართულ გვარს იტალიელთა ხელში ერთგვარი სახეცვლილება განეცადა, ვესაუბრეთ იტალიაში ნაბრძოლ ბევრ ქართველ პარტიზანს. ყველაზე ახლო მიზანთან „სკვნიგინის“ მთავარმა ბუღალტერმა ბორის შურღაიამ, საგარეჯოელმა დურგალმა ისაკ ძამნაშვილმა და თბილისელმა ინჟინერმა შოთა ფარცხალაძემ მიგვიყვანეს. გარდასული დღეთა მოგონებამ მრავალ კითხვას გასცა პასუხი. მათ განაცხადეს, რომ იცნობდნენ ასეთ კაცს, იბრძოდნენ მასთან ერთად იტალიაში, რომ მისი ნამდვილი სახელი და გვარი არის ფორე მოსულიშვილი. მათი ვარაუდით გმირი სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის მკვიდრი უნდა ყოფილიყო.

სულ მალე გმირის ოჯახს მივადექით. ხოლო ცოტა მოგვიანებით, 1970 წლის იანვარსა და თებერვალში, ჯერ გაზეთ „კომუნისტში“ (ვ. სიხარულიძე), შემდეგ კი „სამშობლოში“ (ვ. ესვანჯია), დაიბეჭდა ჩვენი წერილები ფორე მოსულიშვილზე, რომლითაც ქართველმა მკითხველმა პირველად გაიგო იტალიაში გმირულად დაღუპული ჩვენი თანამემამულის ნამდვილი ვინაობა.

ფორე ნიკოლოზის-ძე მოსულიშვილი დაიბადა 1916 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში. იქვე მიიღო არასრული საშუალო განათლება, მრავალსულიანი ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა და ფორეც ადრიდანვე ჩაება შრომითს საქმიანობაში.

ახალგაზრდა, შრომისმოყვარე კოლმეურნე სოფელმა ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში გაგზავნა სასწავლებლად. 1939 წლის გაზაფხულზე, ტექნიკუმის დამთავრების მესამე დღეს, იგი წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს.

ფორეს უკანასკნელი წერილი ოჯახმა 1941 წლის მაისში ლატვიიდან მიიღო. შემდეგ ყველაფერი ომის ქარცეცხლში გაეხვია. უფროსი ძმა გოგი და მომდევნო — ზაქარიაც სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ.

ოჯახში მოხუცი დედ-მამა და უმცროსი ვაჟი ვასილი დარჩნენ (ამ დროისათვის ოჯახის უფროსი ქალიშვილები მარო და ელო გათხოვილები იყვნენ და მეზობელ სოფლებში ცხოვრობდნენ).

1943 წელს ოჯახის მამა, ნიკა გარდაიცვალა. ცხოვრების მთელი სიმძიმე დედას — თებროს დაეწვა მხრებზე. სამშობლო განსაცდელში იყო და, აბა, პირად გაჭირვებაზე სიტყვას როგორ დაძრავდა. გამხნევება პირველ ყოვლისა მას სჭირდებოდა, მაგრამ თვითონ იქცა სხვების იმედად. კოლმეურნეობის ზვრებსა და საკუთარ ოჯახში ჯარასავით ტრიალებდა.

გადიოდა წლები. ომი დამთავრდა, ქვეყანამ ჭრილობები მოიშუშა. მოსულიშვილების ოჯახში ორჯერ გაიმალა სუფრა — ორი ვაჟკაცის დაბრუნებამ სიხარულით და იმედით აავსო დედის გული. მესამეც დამიბრუნდება, მესამეც—გულს არ იტეხდა დედა.

ლოდინსა და იმედში 30 წელიწადი გავიდა. 80 წელს/მიღწეული ქალი კი კვლავ სოფლის შარაგზას გაჰყურებდა... ერთხელ, ომის დამთავრებიდან ორიოდე წლის შემდეგ, მოსულიშვილებს ამბავი მიუტანეს — სიღნაღელ ივანე შანშაშვილს ტყვედ ყოფნისას თქვენი ძმა ფორე უნახავსო.

იმავე საღამოს გაქშურნენ სიღნაღში.

ფორე მოსულიშვილის ტყვეობის პერიოდზე შედარებით სრული სურათი მოგვაწოდა იტალიის წინააღმდეგობის მონაწილემ, საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის კოლმეურნეობის დურგალმა ისაკ ძამნაშვილმა.

— ფორე პირველად 1943 წლის მარტში პოლონეთში, კრუშინოს ინტერნაციონალურ ტყვეთა ბანაკში გავიცანი. როგორც თვითონ მითხრა, პირველი საბრძოლო ნათლობა ბალტიისპირეთის ფრონტზე მიიღო. ტყვედ კი 1941 წლის სექტემბერში ჩავარდნილა. მრავალი ტანჯვა-წამება გადაგვხდა, ვიდრე იარაღით ხელში ტყვე მივაშურებდით. 1943 წლის სექტემბერში ტყვეთა ერთი ნაწილი საფრანგეთში გადაგვიყვანეს, ხოლო 1944 წლის დასაწყისში — ჩრდილოეთ იტალიის სამეფრო ტყვეთა ბანაკში. ჯერ იყო და უდინოს პროვინციაში, კიუზა პორტაში (კარჩაკეტილი ხეობა) ვიყავით, შემდეგ კი ტურინის პროვინციაში გვხდიდნენ სულს მუშაობით.

დადგა 1944 წლის გაზაფხული. ქართველ ტყვეთა ერთი ნაწილი ნოე კუტლაშვილის მეთაურობით ბანაკიდან გაიქცა და პარტიზანებს შეუერთდა. ამით დამფრთხალმა გერმანელებმა კვლავ შეგვიცვალეს ადგილი. ბევრი ქართველი, მაუ შორის ფორეც, ნოვარის პროვინციაში, მაჯორეს ტბის მიდამოებში გადაგვიყვანეს.

ტყვეობიდანაც იმავე წლის ზაფხულის ბოლოს, სხვადასხვა დღეს გავიქეცით. ამიტომაც პარტიზანთა სხვადასხვა შეაერთში მოვხვდით და შემდეგ ერთმანეთი აღარ გვიხასავს.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელთა ბანაკში ბევრი საბჭოთა ტყვე, ბევრი ქართველი იყო, ფორე მოსულიშვილი განსაკუთრებით დამამახსოვრდა. გარდა იმისა, რომ იგი მართლაც მოსული, ბრგე ვაჟკაცი იყო, ხასიათიც უდრეკი, გაუტეხელი ჰქონდა. დღენიადაგ გვამხნევებდა — მტრის ჯიზნე თუ დავოწნდებით, ნუ გავტყდებით, სიკვდილსაც ვაჟკაცურად შევხვდეთო. ტყვეობაში გერმანული ენა კარგად შეესწავლა. ფიცხი ხასიათისა, ყველას გასაგონად, ხშირად აბრობდა — ღმერთო! ისე ნუ მომკლავ, მაგათი ჯავრი მიწაში ჩამატანოო.

ფორე მოსულიშვილს კარგად იცნობდა ყოფილი პარტიზანი, ამჟამად მშენებელი ინჟინერი ალექსანდრე (შოთა) ფარცხალაძე. იგი 1944-45 წლებში აქტიურად მონაწილეობდა ჩრდილოეთ იტალიაში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფორე მოსულიშვილი — გვითხრა შოთა ფარცხალაძემ, — ტყვეობაში გავიცანი 1944 წლის აღრეულ გაზაფხულზე. მართლაც რომ ჯანიანი ვაჟკაცი იყო. ჯოჯოხეთურ პირობებსაც კი ვერ შეერყია მისი რკინისებური სხეული. დღენიადაგ გაქცევაზე ფიქრობდა. გულხელდაკრეფილნი არც ჩვენ ვიყავით. სამეფოდან დამასხმდა ვალოდია ბეკეა, კოლია ვარეშვილი, სანდრო ნათებაშვილი, სერგო ცქიფურიშვილი და მრავალი სხვა. ჩავიგდეთ თუ არა იარაღი ხელში, პარტიზანებს მივაშურეთ და გერმანელებს ერთიანად მივუზღეთ წამებისა და ბოროტებისათვის.

ერთხელ, სოფელ ჯენეზიასთან გაფფრენულ ბრძოლაში ფაშისტებმა ორი დაჭრილი ქართველი პარტიზანი — ძმები ნაშურელი გოგიშვილები ჩაიგდეს ხელთ. გრანობადაკარეულნი ქალაქ ომენიას ჰოსპიტალში მოათავსეს, რომ გამოჯანმრთელებისთანავე დაეკითხათ და ეწამებინათ. იქვე „მკურნალობდნენ“ იტალიელ პარტიზანთა ერთ თვალსაჩინო ხელმძღვანელს. ბიჭებს უეცრელი სიკვდილი ელოდათ. ეს ამბავი იტალიელი ექიმისაგან შევიტყეთ, რომელმაც მთებში მოგვძებნა. მანვე გვაცნობა, რომ ჰოსპიტალს, რომელსაც მათუულსლართებიანი ქვიტკირის გალავანი ერტყა, 12 გერმანელი იცავდა, ხოლო იქვე, ასიოდე მეტრზე, გერმანელთა ასეული იდგა.

დავალება მივიღეთ ტყვეები გაგვეთავისუფლებინა. სახელდახელოდ შედგა რაზმი, რომელშიც ჩემთან ერთად შედიოდნენ ფორე მოსულიშვილი, ვალოდია ბეკეა, ნასყიდა სონგულაშვილი, მიტო ჩოლოყაშვილი, ბობოხია და იტალიელი პარტიზანი განჯი.

შუადამე იქნებოდა, ომენიაში რომ შევიპარეთ და ჰოსპიტალს მივუახლოვდით. ქვიტკირის გალავნის გადალმა გერმანელი დარაჯის ფეხის ხმა ისმოდა, იგი ბეშკართან მიმოდიოდა და ჯიბის მაშუქათი გზას ინათებდა.

ფორე რაზმს გამოეყო და ჭიშკარს მიუახლოვდა. როგორც კი გერმანელი გალავნის კუთხეში მოვიდა, ვეფხვივით დაეცხრა თავს და უსულოდ დასცა. შემდეგ მისი ავტომატი აიღო, მუზარადი დაიხურა, გვამი გვერდზე გადათრია და, ვითომ აქ არაფერი მომხდარაო, იმ ფაშისტის ნაცვლად ბოლოთის ცემას შეუდგა. ჭა ხსნილი იყო. უმაუროდ, ელვის სისწრაფით შევცვივდით საყარაულოში. იქ კიდევ ერთი ფაშისტი ჩავაჩუმეთ. დანარჩენები უბრძოლველად დაგვნებდნენ. ჩვენი დაჭრილი ბიჭები მათ ავკიდეთ და ომენიას გავცილდით.

ომენია. 1971 წლის 14 თებერვალი. გმირის კვალის ძებნისას სწორედ იმ ქალაქში მოვხვედით, საიდანაც თითქმის 27 წლის ჩვენმა თანამემამულეებმა გერმანელთა ჰოსპიტლიდან დაჭრილი ტყვეები გაიტაცეს.

ღღეს ომენიაში ნეოფაშიზმის წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი მანიფესტაციაა. ნოვარის პროვინციის ყოფილი პარტიზანები, კომუნისტები, დემოკრატები, კათოლიკები, პატიოსანი და მშრომელი ადამიანები, შეკრებილან, რათა პატივი სცენ იმ ცამეტი პარტიზანის ხსოვნას, 27 წლის წინათ ჰიტლერელებთან უთანასწორო ბრძოლაში რომ დაეცნენ აქ. კინოთეატრ „სოჩალის“ დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. სხვადასხვა პარტიებისა და ქალაქის მუნიციპალიტეტის მრავალფეროვანი დროშებით მორთულ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ორატორები, და როდენ სასიამოვნო და ამაღელვებელია, რომ მათ ტემპერამენტიან, მჭეხვბარე გამოსვლებში უთარჯიმნოდაც შეგვიძლია გავარჩიოთ: „პარტიჯანი სოვეტიკი“, „პარტიჯანი ჯოჯიანი“, „ფორე მოსულიშვილი“, „მეგრნა ღურწკაია“...

ნამდვილად ბედმა გაგვიღიმა. ჩვენ სწორედ იქ, იმ დარბაზში აღმოვჩნდით, სადაც ჩვენი მისიისათვის ესოდენ საჭირო ადამიანების. დიდი ნაწილი იმყოფება. აქ არიან ფორე მოსულიშვილის თანამებრძოლები თუ ყოფილი მეთაურები, პარტიზანული მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელები თუ რიგითი ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი გაკეთეს ქართველი ვაჟკაცის სახელის უკვდავსაყოფად—ეროდო გასტონე, ჩინო მოსკატელი, პროფესორი ანტონიჩელი, კაპიტანი ბრუნო, კაპიტანი რუტო და სხვები. აქვე არიან ჩვენი თანამემამულე, ყოფილი პარტიზანი ლავრენტი ჯაფარიძე და მისი მეუღლე მარია პერონი.

ამ ხალხს, მთელი თვე რომ გვეძებნა, ყველას მაინც ვერ მივაგებდით, — გვეუბნება გაზეთ „უნიტას“ ნოვარელი კორესპონდენტი ეციო რონდოლინი. ამ დილით სწორედ მისი რჩევითა და მანქანით წამოვედით ომენიაში.

პირველი, ვისთან შეხვედრასაც ყველაზე მეტად ვეშურებით, პარტიზანთა ლეგენდარული მეთაური, ამჟამად იტალიის პარლამენტის დეპუტატი, კომუნისტი მრალდო ბასტონეა. სამოც წელს მიღწეულ, ენერგიით და ძალ-ღონით სავსე ამ კაცს საქართველოშიც ბევრი იცნობს. იგი ხომ იტალიის მთებში მებრძოლ ქართველ პარტიზანთა გულღია მეგობარი და მათი ვაჟკაცობის დამფასებელი იყო. ღიაა, ერალდო გასტონეს უნდა ვუმადლოდეთ პირველ რიგში, რომ ფორე მოსულიშვილის თავდადება დაკარგულად არ მიეცა, სწორედ მან 1945 წლის 10 აპრილს, გარიბალდიელთა 118-ე ბრიგადის პოლიტიკურმა კომისარმა, პირველმა მოაწერა ხელი ბრძანებას ფორე მოსულიშვილის ქვეყნის უმაღლეს ჯილდოზე წარსადგენად. მაგრამ მაშინ ომის ხანძარი ენთო და საქმის ბოლომდე მიტანა არ ეწერა. მხოლოდ 25 წლის შემდეგ შეძლო ამ კეთილშობილმა, შორსმჭვრეტელმა კაცმა, კომუნისტების საიმედო წარმომადგენელმა იტალიის მთავრობაში, ქართველი მეომრის სახელისათვის მარავანდეთ მოეფინა.

სურათზე: ფ. მოსულიშვილის საფლავი მეინეში.

— ზემდეგი ფორე მოსულიშვილი ჩვენთან, პარტიზანთა ბანაკში 1944 წლის 8 სექტემბერს მოვიდა და თან თავითფეხთამდე აღჭურვილი სამოცდაათზე მეტი ქართველი ვაჟკაცი მოიყვანა, — გვიყვება ერალდო გასტონე,—ქართველი პარტიზანები კი ჩვენთვის ძლიერ ძვირად ფასობდნენ. ისინი ჩინებული მებრძოლები იყვნენ. მათი ვაჟკაცობა, მეგობრისათვის თავგანწირვა ყველასათვის სამაგალითო იყო. ჯგუფ-ჯგუფად დავყავით და ცალკეულ რაზმებში გავანაწილეთ. ამით ყველგან საომედო ხერხემალი შეექმენით.

ფორემ, ამ შესანიშნავი გარეგნობის ვაჟკაცმა და უბადლო მებრძოლმა, რომელმაც ძალზე კარგად იცოდა სამხედრო საქმე, სულ მალე პარტიზანთა საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მას შენაერთის მეთაურობა შევთავაზეთ. არ დათანხმდა. აღგილმდებარეობას კარგად არ ვიცნობ, არც იტალიური ენა ვიცი ისე, მეთაურობა რომ შევძლოო. რაზმის უფროსის თანაშემწედ დარჩა. ერთ-ერთი პირველი პარტიზანული საბრძოლო ნათლობა თქვენმა და ჩვენმა ფორემ აქ, ომენიაში მიიღო. სწორედ აქაური ჰოსპიტლიდან გაიტაცა მან დაჭრილი ქართველები და იტალიის პარტიზანთა ერთ-ერთი მეთაური ედო დელგრატო. ეს ის ედო დელგრატო გახლავთ, რომელიც შემდეგ, 1944 წლის 3 დეკემბერს, სოფელ კოლლონიასთან გამართულ ბრძოლაში, საკუთარი სიცოცხლის ფასად, მეორედ იხსნა ქართველმა ვაჟკაცმა...

ფორეს გმირობა მაშინვე მთელმა ბროვინციამ გაიგო. მისმა თავგანწირვამ შურისძიების ცეცხლით აღანთო მებრძოლები. მრავალი ფაშისტი ვან

ივანე თარბას დაბადების 50 წლისთავის გამო

ცნობილ აფხაზ პოეტს, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ივანე თარბას დაბადების 50 წლისთავი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს გაუგზავნა მისალმება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და შენი მეგობარი ქართველი მწერლები მხურვალედ მოგესალმებიან ღვაწლმოსილ აფხაზ მწერალს და მომავალში მოელიან შენგან უფრო დიდ შემოქმედებითს წარმატებებს. ამის თავდებია შენი ნიჭიერება, დიდი მოქალაქეობრივი მგზნებარება და შენი კაცური გული, რომელშიც ჯერ ოდნავაც არ განელებულა ახალგაზრდული ცეცხლი. გისურვებთ დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშოგლიური მხარის მოამღერალი

ივანე თარბა

პოეზია

მაინც რა ფრთებით მოგაქვს
ულევი
სიბრძნე-სიკეთის სიანკარენი?!
გემუდარები, გეჩურჩულები
და ახლოს მაინც არ მეკარები.

კვლავ იმ პატარა გოგოს
მაგონებ,
ვაფს რომ უტოვებს გულში
ნაპერწკალს,
მერე წავა და ვინ გაიგონებს:
„სითო გამექცა, როგორ
გამექცა?!“

შენი გულისთვის ვინც
იწირება,
ვინც იწვის, მაგრამ თავს არ
იცოდებს,
ვიცი, ეგ გული მისი იქნება,
მისთვის გეთმობა მზე და
სიცოცხლე.

გემუდარები, გეჩურჩულები,
უშენოდ რა ვქნა, არა ვიცი რა,
არ მენანება წლები სრულებით,
წლები, რაც შენთვის
შემომწირავს.

ო, პოეზიავ! მხოლოდ იმიტომ,
რომ შენ არასდროს არა
გაუდიან,
მხოლოდ იმიტომ, შენი
გზაწვრილი
რომ ერთი დიდი ბეწვის ხიდია;

მოველ და ჩემად გაგაგულისე,
თავსაც გაწონებ ქება-დიდებით,
ფრთებიც მაქვს, მაგრამ კაცთა
სულისკენ
უშენოდ მაინც არ
გავფრინდები.

ვდელავ, ვმქუხარებ და
ჩანჩქერივით
შენი მზის ნათელ სხივზე
ვციმციმებ...
ვერ დავიძინებ თვალში
ცრემლითვით,
არ მოგცილდები, ნურც
მომიცილებ.

თარგმანი
მ. ფოცხიშვილისა.

ეშოგლიური მხარის მოამღერალი

მზიური აფხაზეთის წინსვლისა და გამარჯვების შთაგონებულ მომღერალს — პოეტს, პროზაიკოსს, საზოგადო მოღვაწეს ივანე თარბას ორმოცდაათი წელი შეუსრულდა.

ჩვენი მეგობარი პოეტი დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბაში. ეს ის სოფელია, რომელსაც მისმა შვილმა და მკვიდრმა არაერთი გულთბილი სტრიქონი მიუძღვნა, მათ შორის: „უშენოდ ყოფნა არ მიწერია და სხვა სამოთხე არც კი მეგულების, შენი ცის ცვარი ჩემი ცრემლია შენს სიმღერაში ქარწყლინებული“.

ივანე თარბამ შრომითი საქმიანობა მაშინ დაიწყო, როცა იგი ჯერ კიდევ ოჩამჩირის აფხაზურ საშუალო სკოლაში სწავლობდა. 1937 წლიდან 1941 წლამდე იყო რაიონული გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი, სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „აფსნი ყაფშის“ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრად, პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნად. ამჟამად მეთაურობს აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციას. იგი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. ამიტომაც მას სრული უფლება აქვს განაცხადოს: „დღეთა მსგალობას არა აქვს ფასი და ფასი მაშინ ეძლევა მხოლოდ ,როცა ყველამდე საქმით ხარ სავსე და როცა ნამდვილ ცხოვრებით ცხოვრობ“.

დიდი სამამულო ომის დღეებში „აფსნი ყაფშისა“ და სხვა სოლქო გაზეთების ფურცლებზე, სოხუმში აფხაზურ, ქართულ, რუსულ ენებზე გამოცემულ კრებულებში ხშირად წაიკითხავდით ივანე თარბას მგზნებარე პატრიოტულ სტრიქონებს. საბჭოთა ხალხის მამაც შვილებს მიუძღვნა პოეტმა თავისი პირველი ნაწარმოებები.

1948 წელს გამოვიდა ივანე თარბას პირველი წიგნი „მთის წყაროო“ (ამის შემდეგ მან სოხუმში, თბილისში, მოსკოვში ოცამდე წიგნი გამოსცა).

ივანე თარბას შემოქმედება კიდევ უფრო გაიფურჩქნა ომისშემდგომ წლებში, ლექსიდან ლექსამდე, წიგნიდან წიგნამდე ეიზრდებოდა, იფშნდებოდა, იხვეწებოდა მისი პოეტური ხმა; იზრდებოდა, მაღლდებოდა, ღრმავდებოდა მისი ლიტერატურული ოსტატობა. ამჟამად ივანე თარბა საუკეთესო წარმომადგენელია მშვენიერი აფხაზური მწერლობისა და ღირსეული ადგილი უჭირავს მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის.

უკანასკნელ წლებში ივანე თარბამ რამდენიმე მეტად საინტერესო პროზაული ნაწარმოები გამოაქვეყნა. მისი რომანები „ცნობილი სახელი“ და „მზე ჩვენთან ამოდის“ ითარგმნა ქართულ და რუსულ ენებზე. ვინც ამ ნაწარმოებებს წაიკითხავს, იგი კიდევ უფრო შეიყვარებს ნიჭიერ, შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე აფხაზ ხალხს, ქართველებთან და სხვა მომმე ხალხთა წარმომადგენლებთან ერთად რომ ცხოვრობს ჩვენს ერთიან, ძმურ ოჯახში.

ახლახან გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა შესანიშნავი აფხაზი პოეტის წიგნი (სერია „აფხაზური პოეზიის ბიბლიოთეკა“), რომელშიც ბოლო დროს დაწერილი ლექსებია მოთავსებული. ქართველ პოეტებს დიდი სიყვარულით უთარგმნიათ ეს წიგნი. ჩვენს მკითხველს უთუოდ სიამოვნებას განაცდევინებენ ლექსები „ამ დღესაც დარჩა“, „ბედაური“, „ეს ცა“, „ჩაპაევი“, „სტუმრად რასულთან“, „ქორი“, „ვით ბავშვობაში, დილათ“, „დიდი ხანია არ მინახავს ბაბუას ბაღი“, „მეჯდელი ვიყავ“... წიგნის მშვენებას წარმოადგენს სატრფიალო ლექსები: „როცა ჩვენ ორნი ვიყავით ერთად“ და „აჰ, რამდენი სუნთქვა და რამდენი მზერა...“

ივანე თარბა თავის ერთ-ერთ ლექსში ასე მიმართავს პოეზიას:

„გემუდარები, გეჩურჩულები და ახლოს მაინც არ მეკარები“. ჭეშმარიტი პოეტები მუდამ ასე ფიქრობდნენ და თიქოს იქვის თვალით შეაყურებდნენ თავიანთ შემოქმედებას. ჩვენი მეგობრის ეს სტრიქონებიც მის სასარგებლოდ მიტყვლელებენ, — პასუხისმგებლობაზე მშობლიური სიტყვის წინაშე, მომთხოვნელობაზე საკუთარი თავის მიმართ.

ორიოდე კვირის წინათ, იმ დღეებში, როცა სახელოვან იუბილესთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა, საბჭოთა აფხაზეთის თანამოლმა მწერალმა გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა ახალი პოეტური ნაწარმოები „სამშობლო ჩემი“. აი როგორ გულოთადად ეალერსება იგი მშობლიურ მხარეს:

ამ სილამაზეს ზეიმი შვენის,
დიდი ოჯახის ფუძე მყარია!
ო, აფხაზეთო, შვილი ვარ შენი,
დედა ხარ ჩემი და მიხარია!

ივანე თარბა აფხაზი ხალხის შვილია, მკვიდრია იმ კუთხეუელი მხარისა, სადაც ყველა კეთილ ადამიანს აფხაზურ დღეგრძელობას უსურვებენ, სადაც ასორმოცდაათი წელი ადამიანის სიცოცხლის საზღვრად როდი ითვლება.

მაშ რა უნდა იყოს ბესლახუბაში დაბადებული და გაზრდილი კაცისათვის ნახევარი საუკუნე? მხოლოდ გაზაფხული მისი სიცოცხლისა და შემოქმედებისა!

მეც აფხაზურ დღეგრძელობას ვუსურვებ ჩვენს საყვარელ ძმასა და მეგობარს, აფხაზურ დღეგრძელობას შემოქმედებაშიც და პირად ცხოვრებაშიც.

ხუტა ბერულავა.

სპეციალურ...

ფალე დამთავრდება მესამე მეოთხედი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ახლა მეოთხედის ნიშნების საბოლოო შეფასება მიმდინარეობს. მერე კი საგაზაფხულო არდადეგები დაიწყება.

არდადეგები მოსწავლეთა სიცოცხლით სავსე და საინტერესო ცხოვრების ერთგვარი გარდასახვა — ბეჯითი სწავლის შემდეგ ხალისიანი დასვენებაა. არდადეგები 24 მარტიდან 1 აპრილამდე გასტანს.

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლიდან მოსკოვში წავა ორი დელეგაცია ,მოსკოვის „დანოვის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საბჭოთა კავშირის შექმნისადმი მიძღვნილ ფესტივალს და ნორჩ ასტრონომთა მე-2 საკავშირო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

მოსწავლეები მოსკოვის გარდა წავლენ ბაქოში, რიგაში, სოხუმში, ბათუმში.

პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე მოაწყობს აგრეთვე ტურისტული წრის წევრთა რვადღიან ლაშქრობას მარშრუტით: თბილისი-ცხაკაია, ნაქალაქევი-ჯოლევი-გიგიჰკორი-ცხაკაია-თბილისი, ნორჩ ტექნიკოსთა სამდღიან ექსკურსიას ენგურჰესის მშენებლობაზე, სპექტაკლებს და საინტერესო შეხვედრებს.

ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგური თბილისელ მოსწავლეთა დაოსტატებისათვის ქალაქგარეთ მოაწყობს ვარჯიშს სპორტულ ორიენტირებში. ეს ერთგვარი მომზადება იქნება სპორტის ამ სახეობაში საკავშირო შეჯიბრებისათვის.

მოიწყობა ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი სპორტსმენების ერთკვირიანი შეჯიბრება ჭადრაკში, აგრეთვე მოსწავლეთა 23-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის ნახევარფინალური შეხვედრები ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდებს შორის, სპორტული თამაშების ოთხ სახეობაში.

პატარა მაყურებელს არდადეგებთან დაკავშირებით განაბლებულ პროგრამას სთავაზობს თბილისის სახელმწიფო ცირკი, ხოლო საინტერესო წარმოდგენებს მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრები.

25 მარტს თბილისიდან გავა მეგობრობის მატარებელი. 400 მოსწავლე დათვალიერებს სოხუმს, სოჭს და გაგრას.

მოსწავლეები ჯერ ისევ საკლასო მერხებს უსხედან, ხდება მათ მიერ მეოთხედში გაწეული შრომის შეფასება.

ბ. დურგლიშვილი.

ფოტოობიექტივშია გუნებაკ

ორი რეპორტაჟი სოჭიდან

„დინამო“ — მერვედფინალში

ჩემპიონთან შეხვედრა

„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (თბილისი) 1:2 (1:0) სოჭი. 19 მარტი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ვლ. რუდნევი (მოსკოვი).

„კრილია სოვეტოვი“ — ბოლოხინი, კომილსკოვი, სახაროვი, პოლატინოვი, მარტინოვი, პანფილოვი, კორაბლეოოვი, ბლინკოვი, კუპრიანოვი, კაზაკოვი, არიაპოვი.

„დინამო“ — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი (მ. მაჩაიძე), კუტუბაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (გ. გავაშელი).

19 მარტს სტარტი აიღო სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხეს ეტაპფინალების მეორე შეხვედრებმა. აქამდე ნულოვანი ფრე მხოლოდ თბილისის „დინამოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ თბილისის მატჩში აღინიშნა. და აი ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად სოჭში.

ორიოდე გუნდის მწვრთნელებმა გადაწყვიტეს არ შეეცვალათ შემადგენლობა და სოჭში თბილისური ვარიანტი გამოიყენეს. ოღონდ დინამოელთა ყველა ხაზი გაცილებით უფრო აქტიურმოქმედი იყო, ვიდრე თბილისში.

აქ სრულიადაც არ გვინდა „კრილია სოვეტოვი“ წარმოვიდგინოთ ისე, თითქოს იგი დაინტერესებული არ იყო მოგებით, პირიქით, მაგრამ ვოლგისპირელები სულ სხვა ტაქტიკით მოქმედებდნენ. ეს ტაქტიკა გამოიხატებოდა იშვიათ, მაგრამ ფეთქებად იერიშებში. 28-ე წუთზე კუპრიანოვი პირისპირ აღმოჩნდა უურუშაძესთან, მაგრამ მან მიზანს ა�ცდინა. ხოლო 36-ე წუთზე კუუტურიდან ჩამოწოდების შემდეგ არიაპოვმა პირველი გოლი იზეიმა.

მეორე ნახევარში პეტრიაშვილი და ლ. ნოდია მაჩაიძეს და გავაშელმა შეცვალეს. კუიბიშეველებს თავიანთი დაცვის იმედი ჰქონდათ, ამიტომაც იგი კიდევ უფრო გაძლიერეს, რათა ერთი გოლის უპირატესობა შეენარჩუნებინათ და გზა გაეგრძელებინათ თასისათვის ბრძოლაში. მაგრამ... აი 28-ე წუთზე კუტუბაძის მიერ საჯარიმოს ჩამოწოდების შემდეგ გ. ნოდიამ თავური დარტყმით წონასწორობა აღადგინა. ანგარიში 1:1 დინამოელთათვის მოგებას ნიშნავდა, რადგან მოწინააღმდეგის მოედანზე გატანილ ბურთს თასის დიდებულებით უპირატესობა აქვს. ამიტომაც კუიბიშეველებმა ახლა უკვე ტაქტიკა შეცვალეს და აქტიურ თამაშს მიყვეს ხელი. მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული იყო. დინამოელთა იერიშები გრძელდებოდა. 36-ე წუთზე გავაშელი საჯარიმო მოედანზე საგულდაგულოდ მოცელეს. მსაჯს ისღა დარჩენოდა, რომ 11-მეტრიანი დაენიშნა. მეტრეველმა იგი ჩვეული ოსტატობით გამოიყენა. დინამოელები დაწინაურდნენ — 2:1. ბოლო წუთებში თამაში შედარებით შენელდა.

და აი, გაისმის მსაჯის სასტვენის ხმა. დინამოელებმა გაიმარჯვეს — 2:1. და ამასთან ერთად მოიპოვეს მერვედფინალის საგზური.

ჩემპიონთან შეხვედრა ყოველ გუნდს საპატიო თამაშად მიაჩნია. ასევე იყო ქუთაისის ტორპედოსთვის 19 მარტის მატჩი ცსკა-სთან. რა შეიძლება ითქვას დღევანდელ თამაშზე? ქუთაისელები ჩემპიონების წინააღმდეგ იბრძოდნენ როგორც თანასწორი თანასწორთან.

ამიტომ ეტაპი თავისი შესანიშნავი დაცვით და ფორვარდებით არაერთხელ გაიჭრნენ მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ ამას შედეგი არ მოყოლია. მეთხუთმეტე წუთზე ფედოროვის ძლიერი დარტყმა მოიგერია ქუთაისელთა მეკარემ. ერთი წუთის შემდეგ კი არმიელთა მეკარემ იხსნა თავისი გუნდი აშკარა გოლისაგან. ჩემპიონმა წარმატების მხოლოდ 34-ე წუთზე მიაღწია. გოლის ავტორი გახლდათ კომეიკინი. 10 წუთის შემდეგ კი მეტად ეფექტური ბუთი გაიტანა ოქროპირაშვილმა და ტაიმი დამთავრდა ფრე 1:1.

ტემპიანი, მომზადებული ბრძოლა არც მეორე ნახევარში შენელებულა. ერთხელ კიდევ აიღეს მეტოქის კარი ტორპედოელებმა, მაგრამ ბურთი მსაჯმა არ ჩათვალა. ეს მოხდა 70-ე წუთზე, ხოლო 75-ე წუთზე დროფეევმა გუნდს გამარჯვება მოუტანა.

ცსკა-მ მოიგო ორიოვ მატჩი და მერვედფინალში გავიდა.

ვ. გაბელია.
სოჭი. ტელეფონით.

„საბავშვო ბაღი“

„საბავშვო ბაღი“ მწყობრით მიემართება სასეირნოდ. ჯგუფს ერთი ცელქი გამოეყო და გასართობად მარტო გაპარვა სცადა. აღმზრდელს მახვილ მზერას არ გამოპარვია მისი ეშმაკობა, მაშინვე უკან მოაბრუნა ჯგ... ერთი-ორი წაუთაქა კიდეც... რა? არაპედაგოგიურია? რას იზამ, როცა მშობლებმა უამრავი პირიმშო მოგანდეს მოსავლელად და თვითონ მრავალ ათიულ კილომეტრზე საზრდოს საშოვრად გასწიეს. ირგვლივ კი თოვლითა და ყინულით დაფარული თვალუწვდენი ტრამალებია, სადაც ასე ადვილია დაიკარგო...

მიხვდით? დიახ, ლაპარაკია პინგვინების „საბავშვო ბაღზე“. ერთ-ერთი ასეთი ჯგუფი ჩვენმა კორესპონდენტმა, ანტარქტიდული ექსპედიციის მონაწილემ თ. ბრიგორაშვილმა გადაიღო სადგურ „მირნის“ მახლობლად (სურათზე ქვემოთ).

პატარებს ზრუნვას არც ეს კრუხი აკლებს. სურათს „დედაშვილობა“ უწოდა ავტორმა რ. ბაბრიჰიძემ.

გ. ჯანიკაშვილმა კი პატარა ცუგო მაშინ გადაიღო, როცა იგი ცნობისმოყვარედ აცეცებდა თვალებს — „რა ხდება იქ?“.

ოლიმპიადა

„ბენზინი“ — „ბორნეო“ 2:0

ბელგრადი. ნახევარი ქულაც კი არ დაუკარგავს ჯერჯერობით ნონა გაფრინდაშვილს — ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ჩვენს მონაწილეს, რომელიც იუგოსლავიაში მიმდინარეობს რვა მარტის დღის აღსანიშნავად. რვა ტურის შემდეგ მას რვა ქულა აქვს. მართლაც რომ მსოფლიო ჩემპიონის დირსეული შედეგი!

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს გაფრინდაშვილმა კიდევ ორი ქულა მოიპოვა, დაამარცხა ბილეკი (უნგრეთი) და იერგერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

ასპარეზობის დამთავრებამდე ხუთი ტური რჩება. (საკდესი).

დიდი ჰოკეი

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ბერნში სტარტი აიღო მსოფლიო ჩემპიონატმა შაიბიან ჰოკეიში. გუშინვე გაიმართა ორი შეხვედრა— მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დიდი ანგარიშით — 11:2 — დაამარცხა დასავლეთ გერმანიის გუნდი, ჩეხოსლოვაკიელი და ამერიკის შეერთებული შტატების ჰოკეისტთა ასპარეზობა დამთავრდა ამერიკელთა გამარჯვებით ანგარიშით 5:1.

გამარჯვება

ვატერლოო, (საკდესი). ამვრიკის ამ ქალაქში სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა მესამე მატჩიც მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს ანგარიშით 7:3. ქართველ მოჭიდავეებიდან რ. მარსაგიშვილმა დაამარცხა გ. ჰიკსი, ხოლო შ. ლომაძემ — რ. ფრანცი.

დ. გ. თორია



გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი-ინტერნაციონალისტი, სკკპ წევრი 1920 წლიდან, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა თვის ბრძოლის აქტიური მონაწილე, პერსონალური პენსიონერი დიმიტრი გაჯის-ძე თორია.

დ. თორია დაიბადა 1892 წელს სამურზაყანოს უბნის (ამჟამად გალის რაიონი) სოფელ ნაბაკევში. 1904 წელს დაამთავრა სოფლის ორკლასიანი სკოლა. 1908-დან 1914 წლამდე ეწეოდა დაქირავებულ შრომას, ხოლო 1914-დან 1917 წლამდე მეფის არმიაში იმყოფებოდა.

1917 წელს არჩეულ იქნა დივიზიის რევოლუციური კომიტეტის წევრად. 1918 წელს იყო სამურზაყანოს მაზრის მენშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი წითელგვარდიელთა რაზმის მეთაური და რევოლუციური კომიტეტის წევრი. 1918 წლის ივლისში დ. თორია ხელმძღვანელობდა რაზმს, რომელმაც დაბრკოლება აღმოუჩინა ზუგდიდელ ინტერვენტებს. მაგრამ მალე იგი მენშევიკებმა დააპატიმრეს და 1919 წლის თებერვლამდე იყო ქუთაისის საპყრობილეში როგორც პოლიტპატიმარი.

1921 წლის მარტში დ. თორია არჩეულ იქნა აფხაზეთის ბოლშევიკების არალეგალური კომიტეტის წევრად. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების - დამყარების ლეგალურ ორგ. არჩეულ - ქალაქ სამურზაყანოს მაზრის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ე. დ. მალე იგი სასწავლებლად გაგზავნეს მოსკოვში აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში.

1922 წლიდან დ. თორია მუშაობდა სამურზაყანოს მაზრის მეშურ-გლეხური ინსპექციის თავმჯდომარედ, ხოლო 1923-დან 1924 წლამდე — საქართველოს კპ გალის სამაზრო კომიტეტის პირველ მდივნად. შემდეგში ეჭირა მთელი რიგი პასუხსაგები თანამდებობანი, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში.

1953 წლიდან დ. თორია პერსონალური პენსიონერი იყო.

როგორც აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე, აგრეთვე კომუნისტურ მშენებლობაში მონაწილეობისათვის დ. თორია დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის დღეებში დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის მაზნებარე მებრძოლის, გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანის დიმიტრი თორიას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

კვლავ ერთად

დღეს თბილისში ვარ და მაგონდება 1960 წელი, როცა ბირველად მომიხდა დამეკვა საბჭოთა კავშირის ღირსება რომის ოლიმპიადაზე. ჩვენ, სიმაღლეზე მსტომელნი, სამნი ვიყავით: რ. შავლაყადე, ვ. ბოლშოვი და მე.

სეზონის ლიდერი მსოფლიოს რეკორდსმენი ჯონ ტომასი, რომელსაც ჰქონდა საუკეთესო შედეგი 222 სანტიმეტრი, სპორტის ყველა მოყვარულთა აღიარებით მიუწვდომლად ითვლებოდა და მას ოლიმპიადამდე უწინასწარეტყველებდნენ ოქროს მედალს. მაგრამ სპორტი საინტერესო არ იქნებოდა, მასში რომ არ იყოს მწვავე მომენტები და ზოგჯერ სენსაციური დასასრულიც. ასეთი სენსაციაა იყო ჩემი მეგობარი სპორტსმენის, მზიური საქართველოს წარმოგზავნილის რობერტ შავლაყაძის გამარჯვება. მეც შევიქენი მაშინ გამემარჯვნა ჯ. ტომასზე და მეორე ადგილი დამეკავებინა. ჩვენმა მესამე ამხანაგმა ვ. ბოლშოვმა მსოფლიოს რეკორდსმენის ჯ. ტომასის თანაბარი შედეგი — 214 სანტიმეტრი აჩვენა და ცდების მისეულ მეოთხე ადგილი დაიკავა.

და აი დღეს კვლავ ვხვდებით ერთმანეთს სამი მეგობარი, სამი ამხანაგი — რობერტი, ვიქტორი და მე. ვხვდებით მზიურ თბილისში. კარგი ტრადიცია დამყარდა ქართველ სპორტსმენებთან — ოლიმპიურ ჩემპიონთა პრიზების გათამაშება. სოხუმში ეწყობა შეჯიბრება სამმაგ ხტომაში ვ. სანეკეის პრიზზე, თბილისში — სიმაღლეზე ხტომაში რობერტ შავლაყაძის პრიზზე. ამ შეჯიბრებაზე თავს იყრიან რეკორდ საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის უძლიერესი მხტომელები. დღეს ევროპის ჩემპიონი ვ. ბავრილოვი (221) და დასურულ დარბაზში ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ი. ტარმაკი (221) ღირსეულ მეტოქეებს შეხვდებიან ახალგაზრდა რ. ახმეტოვის, რომელსაც ამ სეზონში 215 სმ. შედეგი აქვს, და უკვე გამოცდილი მარტინოვის (217 სმ) სახით. და არც ჩვენ, ვეტერანები, ვაპირებთ დავმომთ ჩვენი პოზიციები.

ვ. ბრუმელი,
მსოფლიოს რეკორდსმენი, XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

დამარცხება უკანასკნელ ტურში

გუშინ სპორტის სასახლეში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა სსრ კავშირის ჩემპიონატის თავის უკანასკნელ მატჩში უმასპინძლა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს მოსკოვის ცსკა-ს. სტუმრებმა შეძლეს მოეგოთ ეს შეხვედრა (91:74) და მეტად საჭირო ქულა მოიპოვეს ოქროს მედლისათვის ბრძოლაში.

მეტრეველი და მოროზოვა ჩემპიონები

არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ჩოგბურთელთა ორი ჩემპიონატზე შერეულ წყვილთა ასპარეზობაში გიმარჯვა საბჭოთა წყვილმა მოროზოვამ და მეტრეველმა, რომლებმაც დამარცხეს ავსტრიელი პარისი და იტალიელი დიმატეო.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ნ. შ. მისუტაძე დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ბ. გ. კაციტაძე გაათავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან ნამსახურობის გამო დათხოვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ო. ა. ქავთარაძე დანიშნა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილედ და გაათავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან.

რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქარხნის უფროსი დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინური პრემიის ლაურეატი

სოლომონ ავთანდილის-ძე შარაძენიძე.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

სპეციალურ...

ფალე დამთავრდება მესამე მეოთხედი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ახლა მეოთხედის ნიშნების საბოლოო შეფასება მიმდინარეობს. მერე კი საგაზაფხულო არდადეგები დაიწყება.

არდადეგები მოსწავლეთა სიცოცხლით სავსე და საინტერესო ცხოვრების ერთგვარი გარდასახვა — ბეჯითი სწავლის შემდეგ ხალისიანი დასვენებაა. არდადეგები 24 მარტიდან 1 აპრილამდე გასტანს.

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლიდან მოსკოვში წავა ორი დელეგაცია ,მოსკოვის „დანოვის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საბჭოთა კავშირის შექმნისადმი მიძღვნილ ფესტივალს და ნორჩ ასტრონომთა მე-2 საკავშირო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

მოსწავლეები მოსკოვის გარდა წავლენ ბაქოში, რიგაში, სოხუმში, ბათუმში.

პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე მოაწყობს აგრეთვე ტურისტული წრის წევრთა რვადღიან ლაშქრობას მარშრუტით: თბილისი-ცხაკაია, ნაქალაქევი-ჯოლევი-გიგიჰკორი-ცხაკაია-თბილისი, ნორჩ ტექნიკოსთა სამდღიან ექსკურსიას ენგურჰესის მშენებლობაზე, სპექტაკლებს და საინტერესო შეხვედრებს.

ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგური თბილისელ მოსწავლეთა დაოსტატებისათვის ქალაქგარეთ მოაწყობს ვარჯიშს სპორტულ ორიენტირებში. ეს ერთგვარი მომზადება იქნება სპორტის ამ სახეობაში საკავშირო შეჯიბრებისათვის.

მოიწყობა ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი სპორტსმენების ერთკვირიანი შეჯიბრება ჭადრაკში, აგრეთვე მოსწავლეთა 23-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის ნახევარფინალური შეხვედრები ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდებს შორის, სპორტული თამაშების ოთხ სახეობაში.

პატარა მაყურებელს არდადეგებთან დაკავშირებით განაბლებულ პროგრამას სთავაზობს თბილისის სახელმწიფო ცირკი, ხოლო საინტერესო წარმოდგენებს მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრები.

25 მარტს თბილისიდან გავა მეგობრობის მატარებელი. 400 მოსწავლე დათვალიერებს სოხუმს, სოჭს და გაგრას.

მოსწავლეები ჯერ ისევ საკლასო მერხებს უსხედან, ხდება მათ მიერ მეოთხედში გაწეული შრომის შეფასება.

ბ. დურგლიშვილი.

მისაგაძი მაგალითი

ფალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარის ახალგაზრდებმა, რომლებიც ამჟამად თბილისში სწავლობენ და მუშაობენ, კარგ ტრადიციას ჩაუყარეს საფუძველი. ამიერიდან ისინი ყოველწლიურად ორ-ორ ძირ ნერგს დარგავენ მშობლიური დაბის ტერიტორიაზე.

ამას წინათ პირველი შეკრება ჰქონდათ ჯვარელებს. მათ კოლეგურნეები და მოსწავლეები ამოუდგნენ მხარში და სამი დღის მუშაობის შემდეგ ენგურის მშენებარე კაშხალისაკენ მიმავალ გზაზე ომუნეს მთის კალთებზე ახალგაზრდობის ხეივანი დაიბადა.

სამოცამდე ხუთი-ექვსი მეტრი სიმაღლის კედრებმა, რომლებიც ჯვარელმა ხუტა მანიამ უსასყიდლოდ დაუთმო ახალგაზრდებს, დაამშვენა დაბა.

ზ. ფიფია.

• • •

სურათზე: ახალგაზრდები გზის გაყოლებით რგავენ კედრებს.

ფოტო ავტორისა.

ტელევიზია

20 მარტი

პირველი პროგრამით

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — კინოპროგრამა, 11.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — ბულგარული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ეშმაკის სამხრეებით“ — პირველი სერია (ქართულ ენაზე), 13.25 — სატელევიზიო დადგმა „ჩემი საყვარელი მზრუნველი დედა“ (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 14.00 — ცეროდენას ეკრანი, 14.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 14.40 — „ვერდის მუსიკა“ — სატელევიზიო მხატვრული ფილმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — „მსოფლიო დღეს“, 17.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, 17.35 — მოსწავლეთათვის „კომკავშირული აქტივის ტრიბუნა“, 18.15 — „კანონიერების ს